



სსიპ „წამლის სააგენტო“

N 89

თარიღი 03 / აპრილი / 2019 წ.

შედგენის ადგილი: ქ. თბილისი

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 44¹² მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის

1. სამართალდამრღვევი:

- ა) სამართლებრივი ფორმა და დასახელება: შპს „სალხინო“
- ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი: 201954206
- გ) რეგისტრაციის მისამართი (იურიდიული მისამართი): ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, წერეთლის გ.,55, კორპ. 2, ბ. 41
- დ) საქმიანობაზე ნებართვის ნომერი: 00024

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა - აღნიშნული იურიდიული პირის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 მაისის N140/ნ ბრძანების პირველი პუნქტით და ამავე ბრძანების დანართი N4-ით დადგენილი წესით არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის იანვრის თვის ინფორმაცია პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის შესახებ.

3. ჯარიმის ოდენობა: 500 (ხუთასი) ლარი.

4. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი (სამართალდარღვევის ოქმი) შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

5. საჯარიმო ქვითრის გადახდის ინსტრუქცია:

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ განაწყვეტილება იძულებით აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საჯარიმო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საბანკო დანესებულების მეშვეობით შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტების გათვალისწინებით:

- ა) გადამხდელის ვინაობა;
- ბ) მიზნობრიობაში უნდა მიეთითოს საჯარიმო ქვითრის ნომერი;
- გ) საბანკო კოდი: TRESGE22;
- დ) სახაზინო კოდი: 302003243;

6. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) სამართალდამრღვევის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ „წამლის სააგენტოში“ შემდეგ მისამართზე: 0119, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144.

საჯარიმო ქვითარი შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რა დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ ანგარიშს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ანსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამომიღებული დადგენილება;

წარკოტიკების ლეგალური ბრუნვის სამმართველოს სპეციალისტი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ქსოვრელი